

## **Anti-Tg**

Anti-Tg არის ანტისხეული თირეოგლობულინის მიმართ.

თირეოგლობულინი (Tg) არის ცილა, რომელსაც ჯანმრთელი ფარისებრი ჯირკვალი გამოიმუშავებს. Tg პროჰორმონია, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების - ტრიიოდთირონინის(T3) და თიროქსინის(T4) წინამორბედი.

ჩვეულებრივ, პათოლოგიური მდომარეობის არარსებობისას, სისხლში თირეოგლობულინის საწინააღმდეგო ანტისხეულები არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელი ადამიანების 10%-ს Anti-Tg-ს არსებობა მაინც აღენიშნებათ.

თირეოგლობულინის საწინააღმდეგო ანტისხეულებმა ფარისებრი ჯირკვლის დესტრუქცია შეიძლება გამოიწვიონ.

### **რატომ კეთდება Anti-Tg ტესტი?**

ეს ტესტი, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა დაავადებების დროს, დიაგნოზის დასმაში გვეხმარება. Anti-Tg ტესტი გამოიყენება ასევე ფარისებრი ჯირკვლის დიფერცირებული კიბოს დროს - მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად და დაავადების მონიტორინგისთვის.

როდესაც სისხლში Anti-Tg ცირკულირებს, მას შეუძლია თირეოგლობულინს შეუკავშირდეს. ეს კი თირეოგლობულინის ტესტის სიზუსტეს ამცირებს და შედეგებს არასანდოს ხდის. სწორედ ამიტომ, როდესაც თირეოგლობულინის ტესტი ინიშნება, საჭიროა Anti-Tg ტესტის გაკეთებაც.

**როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?**

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება. მომზადება გულისხმობს სისხლის უზომოზე აღებას - პაციენტს სთხოვენ, ანალიზის გაკეთებამდე რამდენიმე საათით ადრე, საჭმლის მიღებისგან თავი შეიკავოს.

### **ტესტის შედეგების ინტერპრეტაცია**

როგორც ზემოთ ითქვა, ჩვეულებრივ, ტესტის შედეგები უარყოფითია, ანუ სისხლში Anti-Tg არ აღინიშნება. ანალიზის დადებითი პასუხი დაკავშირებულია შემდეგ პათოლოგიებთან:

- ფარისებრი ჯირკვლის დიფერენცირებული კიბო
- ჰაშიმოტოს თიროიდიტი
- ქრონიკული ურტიკარია
- მიქსედემა
- გრეივსის დაავადება
- სისტემური წითელი მგლურა
- პირველი ტიპის დიაბეტი

დადებითი შედეგები ფეხმძიმე ქალებსაც შეიძლება ჰქონდეთ.

### **კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?**

ანტისხეულები თირეოგლობულინის მიმართ, ანტითირეოგლობულინი

### **საჭირო ინფორმაცია**

ზოგიერთმა მედიკამენტმა შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე.